სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

20/09/2024

MES 0 24 0001176699

აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, ქ-ნ ნინო იმნაძის 2024 წლის 18 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (1159178) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 11 ოქტომბერს დაინიშნოს არჩევნები უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრის ერთ ვაკანტურ ადგილზე.
2. აკადემიურ საბჭოს წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. აკადემიური საბჭოს წევრს ფაკულტეტიდან ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.
5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 27 სექტემბრიდან 2024 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით.
6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
7. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭომ 2024 წლის 27 სექტემბრამდე უზრუნველყოს საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საარჩევნო სიის წარდგენა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
11. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით